ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 46-Ე ᲬᲚᲘ. № 237 (13322) | ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 7 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 1965 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲞ.

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

6 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ კრემლში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები განაგრძობდნენ მოლაპარაკებას პარტიისა სუდანის კავშირი — აფრიკის დემოკრატიული გაერთიანების გენერალურ მდივანთან, მალის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობის თავმჯდომარესთან მოდიბო კეიტასთან და მალის სხვა პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებთან.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიკოიანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრობისა და გულახდილობის ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეები კვლავ განიხილავდნენ საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს, აგრეთვე ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებს. (საკდესი).

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲘᲠᲗᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ!

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ არმია, კომუნისტების დიდი პარტია თავის მორიგ XXIII ყრილობას იწვევს. ყრილობა გაიხსნება 1966 წლის 29 მარტს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმაღლესი ორგანოს დღის წესრიგშია ოთხი საკითხი:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ანდ. ლ. ი. ბრეჟნევი.

2. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ანდ. ნ. ა. მურავიოვი.

3. სკკპ XXIII ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ — მომხსენებელი ანდ. ა. ნ. კოსიგინი.

4. პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

ჩვენი ლენინური პარტია თავის XXIII ყრილობას ეგებება მონოლითურად შემჭიდროებული, განუყრელად დაკავშირებული ხალხთან. მას აქვს პრაქტიკული მოქმედების ღრმად მოფიქრებული, მეცნიერულად დასაბუთებული, ხალხისათვის გასაგები და მახლობელი გეგმა, რათა წარმატებით გადაჭრას კომუნისტური შენებლობის დიადი და რთული ამოცანები.

ყრილობის მოწვევა ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა იყო ჩვენი პარტიის მოღვაწეობის ისტორიაში, საბჭოთა საზოგადოების განვითარების ისტორიაში. რომლის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა კომუნისტების დიდი პარტია. ყოველი ახალი ყრილობის მოწვევა იყო ახალი ეტაპი, ახალი საფეხური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ამიტომაც სავსებით ბუნებრივია ის გრანდიოზული რეზონანსი, რომელიც გამოიწვია ცნობამ ყრილობის მოწვევის შესახებ ჩვენს კეკუანაში და მის ფარგლებს გარეთ.

საბჭოთის მიწის ყველა კუთხეში დაიწყო დიდი მზადება პარტიის ყრილობის შესახვედრად. კომუნისტებთან ერთად ყრილობისათვის ემზადება მთელი საბჭოთა ხალხი. ახლა ყველგან, სადაც კი იქმნება მატერიალური და სულიერი კულტურის დოვლათი, იმართება სჯაბაასი იმაზე, თუ რა საჩუქრები მიგებმენ პარტიის მომავალ ყრილობას.

3. ი. ლენინი ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პარტიის ყრილობისათვის მზადებას. ეი რას წერდა იგი პარტიის IX ყრილობის წინ რუსეთის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციებს პარტიული ყრილობისათვის მზადების შესახებ:

„საჭიროა წინსვლა, საჭიროა წინ ვიხედებოდეთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობისა კარგად მოფიქრებული და აუოდღებული, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალღონით **ᲒᲐᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲗ**“.

ბელადის ამ გენიალურ მითითებას დღესაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. გაშლილი კომუნისტური მშენებლობის ეპოქაში ასეკი უფრო საჭიროა წინსვლა, საჭიროა წინ ვიხედებოდეთ და კომუნიზმის მშენებელთა ყრილობაზე მივიტანოთ პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, ძალღონით გადამუშავებული მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება. ეს გამოცდილება კი მრავალმხრივია. იგი მეტნაკლებად აქვს ყველა პარტიულ ორგანიზაციას, თვითეულ კომუნისტს.

საბჭოთა საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, რესპუბლიკის მშრომელები სულ უფრო და უფრო ებმებიან პარტიის XXIII ყრილობის შესახვედრად მზადების დიდ ფერხულში. ყოველ დღეს ახალი გამარჯვება მოაქვს საკოლმეურნეო მინდვრებიდან, სამრეწველო საწარმოებიდან, სამეცნიერო ლაბორატორიებიდან!

პარტიის ყრილობის შეხვედრისათვის მზადება კიდევ უფრო მეტს მოითხოვს. პარტიულმა ორგანიზაციებმა სულ უფრო უნდა გააუმჯობესონ პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. ყოველმხრივ განამტკიცონ მასებთან კავშირი და სათავეში ჩაუდგნენ მომავალი ყრილობისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით მრეწველობის ხელმძღვანელობის დარგობრივი პრინციპის შემოღება და ეკონომიური ბერკეტების გაძლიერება წარმოების განვითარებაში გადაჭრით ამოლებს პარტიულ ორგანიზაციათა როლს ეკონომიკის ზრდის სწრაფი ტემპისათვის ბრძოლაში. დიდდება პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა საწარმოთა და სამეურნეო ორგანოთა მუშაობისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმების და სახელმწიფო დავალებების შესრულებაში.

თანამედროვე ეტაპზე პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებია, შინაპარტიული მუშაობის გაუმჯობესების. საწინდროო მოვალეობათა შესრულებისადმი კომუნისტებია პასუხისმგებლობის გაძლიერების ინტერესი უფრო მაღალ მოთხოვნების წინაშე აყენებს მთელ იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას. საჭიროა მთელ ჩვენს აღმზრდელობით მუშაობას მივცეთ მაღალი მარქსისტულ-ლენინური იდეურობა. მებრძოლი შეტევითი სულისკვეთება, გაკადიდოთ მასებზე მისი ზემოქმედების ძალა. პარტია მოგვიწოდებს მუდამ ვაუმჯობესებდეთ კომუნისტების, ჩვენი კადრების, ყველა მშრომელის იდეურ აღზრდას. კომუნისტური იდეურობა ის ჩაუქრობელი სულიერი ძალაა, რომელიც ხელს უწყობს ყველა სამეალოს აღებას, ბრძოლას დრომოჭმულის, მტრულის წინააღმდეგ. იგი კომუნისტური ურთიერთობის საფუძველია.

ახლა პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნები მიმდინარეობს. კრებებზე, კონფერენციებზე კომუნისტები განაზოგადებენ უკანასკნელი წლების მანძილზე და განსაკუთრებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე მიღებულ გამოცდილებას. ავლინებენ წინსვლის რეზერვებს. ეს მნიშვნელოვანი მომენტია პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. ამიტომაც იგი გონივრულად უნდა გამოვიყენოთ მომავალი ყრილობისათვის მზადების საქმეში. საჭირო იქნება კომუნისტების ფართო მონაწილეობით შევიმუშაოთ კონკრეტული ღონისძიებანი და ვიბრძოლოთ მათი განხორციელებისათვის.

— **ᲓᲘᲠᲗᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ!** ამ დევიზმა გამოხატულება უნდა ჰპოვოს ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ცოცხალ საქმეებში, მათს ზრუნვაში ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების ერთ-ერთი უველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე საბრძოლო ამოცანა ის არის, რომ პარტიის მომავალი ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის მზადება იგრძნობოდეს ყველგან და ყველაფერში, თვითეული მშრომელის, თვითეული ჟოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, ქარხნის, ფაბრიკის კონკრეტულ საქმეებში. ყოველი ვალდებულება უნდა შესრულდეს!

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავიანთი მშობლიური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით სკკპ XXIII ყრილობას შეხვდებიან შემოქმედებითი ენერგიის მძლავრი აღმავლობით, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჯანსაღით, ახალი წარმატებებით კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ᲓᲘᲠᲗᲔᲣᲚᲘ, ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲚᲝ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 5 ოქტომბერი. (საკდესი). უდიდესი ფირმების შემოქმედებითი პაექრობა წყალქვეშა ფრთიანი ხომალდების სწრაფმავალი ძრავების შექმნის დარგში მოიგეს საბჭოთა დიზელმშენებლებმა. ლენინგრადში დამთავრდა 1100 ცხენის ძალის სიმძლავრის ახალი დიზელის გამოცდა, რომელიც უფრო ხელსაყრელი და საიმედოა, ვიდრე ის მანქანები, რომლებსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და იაპონია უშვებს.

ლენინგრადული დიზელი თითქმის ერთიორად უფრო მსუბუქია, ვიდრე „მერსედეს-ბენცის“ მარკის ძრავა, ხარჯავს 12 პროცენტით ნაკლებ საპობს, ვიდრე ფირმა „მიცუბისის“ ძრავა, ხოლო მისი ექსპლოატაციის საგარანტიო ვადა პირველ პროფილაქტიკურ გასინჯვამდე ერთიორად ხანგრძლივია.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲤᲠᲘᲤᲜᲘᲡ ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲑ

4 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ გაშვებული ავტომატური სადგური „ლუნა-7“ განაგრძობს ფრენას მთვარისაკენ.

5 ოქტომბერს დღის ბოლოს სადგურთან მოეწყო რადიოკავშირის მორიგი (მე-6) სეანსი, რომლის დროს ფრენის პროგრამის შესაბამისად განხორციელდა სადგურის ფრენის ტრაექტორიის კორექცია. სადგურს მიეცა ორიენტაცია მზესა და მთვარეზე, რის შემდეგ ჩაირთო მაკორექტირებელი ძრავის დანადგარი, რომელმაც უზრუნველყო ფრენის ტრაექტორიის შეცვლა გათვალისწინებული მიმართულებით.

ტრაექტორიის პარამეტრების რადიოგაზომვათა შედეგების წინასწარმა დამუშავებამ ცხადყო, რომ სადგური „ლუნა-7“, რომელიც კორექციის შემდეგ შეცვლილი ტრაექტორიით მიფრინავს, 8 ოქტომბერს უნდა შეხვდეს მთვარეს დაახლოებით ღამის პირველ საათზე მოსკოვის დროით.

სადგურთან არის მთავარი რადიოკავშირი, ტელემეტრიის მონაცემებით, სადგურის ყველა სისტემა კორექციის შემდეგ კვლავ ნორმალურად მუშაობს.

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ი. მიკოიანმა და ა. ნ. კოსიგინმა 6 ოქტომბერს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ბერლინში ამხანაგს ვალტერ ულბრიხტს, გილი შტოფს, ალბერტ �იანსაკენ და ერიკ კორენსს.

— გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მე-16 წლისთავი დღეს, — ნათქვამია დეპეშაში, — თქვენ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას გულითადად ვულოცავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით.

ჩვენ გვახარებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას შორის, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს შორის დამყარდა ურყვევი ერთობა სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის, სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განსაკიცებლისათვის, ხალხთა მშვიდობისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების მეგობარი კავშირი და მეგობრობა ახლა უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების ამასწინანდელმა მოლაპარაკებამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ჩვენი ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიური თანამშრომლობა განუხრელად ვითარდება საბჭოთა ხალხისა და გერმანელი ხალხის საკეთილდღეოდ, სოციალისტური ქვეყნების მთელი თანამეგობრობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშებს, გლეხებს, მშრომელ ინტელიგენციას უსურვეს ახალი დიდი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში, დემოკრატიულ, მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე გერმანიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მე-16 წლისთავის გამო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მისალოცი დეპეშა გაუგზავნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ოტო ვინცერს. (საკდესი).

ᲒᲠᲞᲚᲝᲜ ᲗᲐᲣᲠᲡ — ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 6 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს კრემლში ცნობილ ინგლისელ საზოგადოებრივ მოღვაწესა და ჟურნალისტს გორდონ შატერს საზეიმო ვითარებაში გადაეცა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია.

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲛᲐ ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ი. მიკოიანმა და ა. ნ. კოსიგინმა 6 ოქტომბერს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ბერლინში ამხანაგს ვალტერ ულბრიხტს, გილი შტოფს, ალბერტ ბიანსაკენ და ერიკ კორენსს.

— გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მე-16 წლისთავი დღეს, — ნათქვამია დეპეშაში, — თქვენ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას გულითადად ვულოცავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით.

ჩვენ გვახარებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას შორის, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს შორის დამყარდა ურყვევი ერთობა სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის, სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განსაკიცებლისათვის, ხალხთა მშვიდობისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების მეგობარი კავშირი და მეგობრობა ახლა უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების ამასწინანდელმა მოლაპარაკებამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ჩვენი ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიური თანამშრომლობა განუხრელად ვითარდება საბჭოთა ხალხისა და გერმანელი ხალხის საკეთილდღეოდ, სოციალისტური ქვეყნების მთელი თანამეგობრობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშებს, გლეხებს, მშრომელ ინტელიგენციას უსურვეს ახალი დიდი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში, დემოკრატიულ, მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე გერმანიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მე-16 წლისთავის გამო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მისალოცი დეპეშა გაუგზავნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ოტო ვინცერს. (საკდესი).

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲡ ᲕᲐᲮᲯᲖᲔ

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲜᲔᲒᲑᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოს — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტროლამპრნელოო ქარხნის კოლექტივმა ფაართოდ გაანაღა სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXIII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

განვლილ ცხრა თვეში ქართველმა ელექტროლამპრნელებმა ნომენკლატურის სრული დაცვით 4,7 პროცენტით გადააჭარბეს სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმას. ასევე გადაჭარბებით არის შესრულებული შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებაც.

წლის დასაწყისიდან გეგმის გადამეტებით გამოშვებულია რამდენიმე ელექტრული, მათ შორის ერთი „ეკლ-10“ ტიპის ახლად თვისებული ელექტროლამპა.

პროდუქციის საიმედოობის, ხანგამძლეობისა და ხარისხისათვის გაშლილ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ამუყობი, სამპედლო, მექანიკური და ლითონკონსტრუქციების საამქროთა კოლექტივები. ისინი ყოველთვიურ დავალებას სისტემატურად აჭარბებენ და ახლაც ენერგიულად იბრძვიან, რომ ღირსეული შრომითი საჩუქარი მოუმზადონ 7 ნოემბრის დღესასწაულს.

ᲓᲐᲛᲐᲒᲔᲑᲘᲗ — 27 ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲘ

თბილისის პირველი შემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა განვლილ ცხრა თვეში 3,6 პროცენტით გადააჭარბა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმას. შრომის ნაყოფიერების ზრდის პროცენტი გეგმით გათვალისწინებულს 4,9-ით აჭარბებს.

ქარხნის კოლექტივის ენერგიული შრომის შედეგად წლის დასაწყისიდან შეკეთდა და სახალხო მეურნეობას დაუბრუნდა ზეკვეგმით 27 „ზიგ-158“ და „პაზ-651“ ტიპის ავტობუსები.

ახლა ქარხანაში ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ოქტომბრის დღესასწაულისა და პარტიის XXIII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

რუსთავი. (საკ. კორ.). შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული მარტყვნის საამქროს იმ ღუმელთან, რომელსაც მომსახურებას უწევენ ცნობილი მეფოლადეები ა. ფანეულაია, გ. ბერეკაშვილი, ი. ტაბატაძე და ზ. ყაფლაშვილი. სექტემბრის 25 დღემი სახელოვანმა მეფოლადეებმა წარმატებით დაძლიეს თვეური დავალება და გეგმის გადამეტებით გამოადნეს ასეულობით ტონა მაღალი ხარისხის ფოლადი. ოქტომბერშიც მეფოლადეები ინარჩუნებენ აღებულ ტემპს.

აქ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). ქალაქის კიდევ ერთმა დიდმა საწარმომ — მოწამეთის კირის ქარხანამ წარმატებით გაანაღდა შვიდწლიანი გეგმა. განვლილ პეროიდში მოწამეთელებმა 85.750 ტონა კირი გამოუშვეს.

საწარმოო წარმატებათა მოპოვებაში დიდი როლი ითამაშა შრომატევადი პროცესების მექანიზაციამ. შახტური ღუმელები გადაყვანილია ქვედა შებერვის წესზე, რამაც მნიშვნელოვნად შეამჭიდროვა ტექნოლოგიური პროცესები, გაადამჯობესა კირის ხარისხი. მოეწყო კირქვის მექანიზებული ჩატვირთვა. ამ ტექნიკურმა სიახლემ ქარხანას დიდძალი ფულადი ეკონომია მისცა. რაც მთავარია, გაიოლდა შრომა, დაჩქარდა კირის გამოწვის ციკლი.

ᲣᲙᲐᲤᲐᲯᲐᲙᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

საქართველოს კომპარტიის ბარაგიანის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. მირსანაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. დათუაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. კოზაკოვმა რედაქციას ტელეფონით აცნობეს, რომ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის წლიური გეგმა შეარულებულია გადაჭარბებით. პირველი ოქტომბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 20.433 ტონა ბოსტნეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 20.300 ტონისა, კარტოფილი — 1.685 ტონა ნაცვლად 1.430 ტონისა, ხორცი — 26.126 ცენტნერი ნაცვლად ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული 25.720 ცენტნერისა, რძე — 109.234 ცენტნერი ნაცვლად 104.580 ცენტნერისა, კვერცხი — 20.582.000 ცალი ნაცვლად 19.939.000 ცალისა, მატყლი — 3.689 ცენტნერი ნაცვლად 3.407 ცენტნერისა.

ბარდაბინელებმა იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს კიდევ მიაყიდონ 5.000 ტონა ბოსტნეული.

საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. უნგიაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. რეხვიაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. კაკალაშვილმა რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს მიაყიდეს 2.040 ტონა რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.000 ტონისა, კვერცხი — 736 ათასი ცალი ნაცვლად 727 ათასი ცალისა, მატყლი — 49 ტონა ნაცვლად 48 ტონისა. ხორცის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა განაღდებულია 104 პროცენტით.

მესტიის რაიონმა, — აცნობეს რედაქციას საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის მეორე მდივანმა ო. ნაპარსმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ჩარკვიანიამ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ს. ბაბილასმა, — სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის წლიური გეგმა განაღდა 101,3 პროცენტით, ხორცის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა — 155,7 პროცენტით.

საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. მაღლაფშვილმა, რაიაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. პოპიაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა კ. შუბითიძემ რედაქციას აცნობეს, რომ ქარელელმა მშრომელებმა სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური დავალება 100,2 პროცენტით განაღდეს.

ამბროლაურის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა, — აცნობეს რედაქციას პარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ბიბილაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. შარაბიძემ და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ი. ბაძაურაძემ. სახელმწიფოს მიეყიდა 182 ცენტნერი აბრეშუმის პარკი ნაცვლად 180 ცენტნერისა.

სურათზე: თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის საქსოვი წარმოების მოსამზადებელ საამქროში. მარცხნიდან: მქსოველები ზ. შაყულაშვილი მ. პოპოვა და ჟ. დიაკოვა. ისინი მხოლოდ კარგი ხარისხის პროდუქციას უშვებენ და გამომუშავების ნორმას ყოველდღე გადაჭარბებით ასრულებენ. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ

ᲗᲔᲰᲔᲠᲐᲜᲘ, 6 ოქტომბერი. (საკდესი). აქ დამთავრდა მოლაპარაკება ირის თაობაზე, რომ ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდოს შეთანხმება ირანის სამრეწველო და სხვა ობიექტების მშენებლობაში თანამშრომლობის შესახებ. მოლაპარაკება მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

გუშინ ირანის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში მოხდა შეთანხმების პარაფირება. პარაფირებას დაესწრო ირანის პრემიერ-მინისტრი ამირ აბას ჰოვეიდა. შეთანხმებას საბოლოოდ ხელს მოაწერენ მოსკოვში.

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲦᲣᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲮᲐᲖᲖᲔ

ᲧᲐᲠᲐᲩᲘ, 6 ოქტომბერი. (საკდესი). „ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე სიწყნარე ჩამოვარდა. მარტო ჩხამბის სექტორში მტრული მხარეები სპორადულად უშენენ ცეცხლს ერთმანეთს“, — იუწყება პაკისტანის ოფიციალური წარმომადგენელი.

პაკისტანის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, რომელმაც დაამოწმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ მეთვალყურეთა მეთაურია-ბრიუს მაკდონალდის ცნობები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ცეცხლის შეწყვეტას ინდოეთსა და პაკისტანს შორის, გუშინ განაცხადა, რომ „ამჟამად პაკისტანი კონტროლს უწევს ინდოეთის 3.192 კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიას და ინდოეთის ქაშმირის 850 კვადრატულ კილომეტრზე მეტ ტერიტორიას აკონტროლებს (ჯამუ) სექტორში“. „ინდოელებმა კი, როგორც მან განაცხადა, დაიკავეს პაკისტანის 1115 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, აქედან 455 კვადრატული კილომეტრი თავისუფალ ქაშმირში“.

დელი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). „ვერავითარი ძალა ვერ აიძულებს ინდოეთს ხელი აიღოს თავისი ტერიტორიის ნაწილზე“, — განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ლ. ბ. შასტრიმ. „მიმართა რა დელიელებს, რომლებიც შეიარიბნენ ინდოეთის ტრადიციული დღესასწაულის დ�-ᲨᲐᲠᲘᲡ („ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების“) გამო, ინდოეთი, თქვა შასტრიმ, „არ ისწრაფვის ხელთ იგდოს რომელიმე ქვეყნის ტერიტორია, მაგრამ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ დაემორჩილოს არავითარ ზემოქმედებას და არ დატოვოს თავისი ტერიტორია“.

ინდოეთის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გუშინ განაცხადა, რომ პაკისტანის ჯარებმა გადალახეს სახელმწიფო საზღვარი. და 100 იარდით შეიჭრნენ ინდოეთის ტერიტორიაზე სამხრეთ-დასავლეთ ქაშმირში.

ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲪᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 6 ოქტომბერი. (საკდესი). ინდონეზიიდან მიღებული ცნობების თანახმად, ცენტრალური იავის რაიონში გრძელდება მთავრობის ჯარებისა და 30 სექტემბრის სახელმწიფო გადატრიალების მოძმეთა საომარი მოქმედება. სახელმწიფო გადატრიალების მოძმეებმა დღეს დილით კვლავ ხელი იგდეს ქალაქ ჯოგიაკარტა, რომელიც მხოლოდ გუშინ დაიკავეს მთავრობის ჯარებმა.

დღეს ჯაკარტის რადიომ გამოაცხადა, რომ ცენტრალურ იავაში შეიქმნა არმიაში დაჯგუფება პოდპოლკოვნიკ უნტუნგის მოძმეთა შეიარაღებული ქვეგანაყოფების ჩახშობის მიზნით.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 6 ოქტომბერი. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

საანგარიშო-საარჩევნო კრებები პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში

ერთ პარტიულ კრებაზე

ᲘᲒᲘ მდებარეობს მცხეთის რაიონში, ნატახტარსა და წილკანს შუა შეფერდებაზე. შესაძლოა ბევრმა არც იცის, რომ აქ არის განლაგებული საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგური, რომლის მეცნიერი მუშაკები ათეული წლებია შემოქმედებითს შრომას ეწევიან.

დღეს სელექციონერთა პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაა.

საღამოს რვა საათზე კლუბის დარბაზში სამოცდაათამდე კომუნისტი იჯდა. დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ კრების თავმჯდომარემ გ. თევდორაძემ სიტყვა მოხსენებისათვის მიცა პარტბიუროს მდივანს ე. როინიშვილს. ტრიბუნასთან მივიდა ახოვანი კაცი, მზეზე დამწვარი სახით, და მოხსენება დაიწყო.

— ჩვენ, — თქვა მომხსენებელმა, — დიდი და საპატიო ამოცანები გვაკისრია. შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ამ ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში წარმმართველ ძალას ჩვენი პარტიული ორგანიზაცია წარმოადგენს. მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, წელს ენერგიული შრომით მიღწეულია სასახელო წარმატებები, გადაჭარბებით შესრულდა თავთავიანი კულტურების მოსავლიანობის გეგმები, ასევე გადაჭარბებით შესრულდა სიმინდისა და სხვა კულტურების წარმოების გეგმები. წარმატება გვაქვს მეცხოველეობაშიც. ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიას გამოსაცდელად გადაეცა ჩვენ მიერ გამოყვანილი შემოდგომის ხორბლის ახალი ჯიში „მილხანნ“ და სიმინდის ახალი ჯიში „ქართული-6“. გამოსაცდელად გადაეცით აგრეთვე ლობიოს ახალი ჯიშები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი მოსავლიანობით, გამძლეობით. სამეცნიერო მუშაობას უმთავრესად კომუნისტები უძღვებიან.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო პარტიული განათლების საადგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის, პროფორგანიზაციის, კომკავშირული ორგანიზაციის მოღვაწეობის საკითხებს. სამწუხაროდ, მომხსენებელმა მეტად მცირე ადგილი დაუთმო მთავარს, სასელექციო მუშაობაში კომუნისტების ავანგარდულ როლს, თუმცა ეს შემდგომში მოკამათეებმა გამოასწორეს.

საგულისხმოა ორატორთა გამოსვლები.

Ვ. ᲩᲮᲘᲙᲘᲫᲔ (ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲘᲡ ᲛᲔᲡᲔᲚᲘᲠᲔᲯᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲔᲠᲘᲓᲘᲡ):—ჩვენ ყოველმხრივ უნდა განვამტკიცოთ კავშირი რაიონის კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან, უნდა გადავცეთ მათის სასარგებლო გამოცდილება, რაც ჩვენმა მეცნიერმა მუშაკებმა შეიძინეს. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, შეიძლება შევამცეროთ ჯიშთა გამოცდის ვადები სამი წლიდან ორ წლამდე. არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი ახალი ჯიშის კულტურის გამოცდა ათ-თხუთმეტ წელიწადს გრძელდება. ეს დაუშვებელია. სელექციაში გაბედულად უნდა დავნერგოთ ახალი მეთოდები. ბევრია გასაკეთებელი იმ სოფლის კეთილმოსაწყობად, რომელიც რამდენიმე წლის წინათ შემოგვიერთეს.

Დ. ᲐᲚᲡᲐᲒᲐᲫᲔ (ᲩᲠᲘᲗᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ):—შრომის დისციპლინა ძალზე სუსტია. მიჭირდა მუშახელის გამოყვანა, ზოგიერთთან ცხოველურ მივდიოდი, მაგრამ ამაოდ, რამდენჯერმე მივმართე პარტბიუროს მდივანს, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეთ.

Ე. ᲠᲝᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ: — ვახტანგ როსტიაშვილი ხომ დავბარუნეთ?!

Დ. ᲐᲚᲡᲐᲒᲐᲫᲔ: — დავაბრუნეთ. ამდენ ხანს გამოცდების აბარებდა და ალბათ ამის შემდეგ იმუშავებს. ბრიგადაში სამი კომუნისტია. საამაყო კაცია ალექსი ბუქური, რომელიც ვენახს უვლის. მისი თავდადებული შრომა ყველასათვის მისაბაძია. რაც შეეხება ნ. ციხელაშვილს, ხელში ვერ მოვიგდე, სამუშაოდ ვერ გავიყვანე.

Პ. ᲒᲔᲜᲔᲫᲘᲮᲐᲫᲔ (ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲐᲑᲠᲝᲜᲝᲛᲘ): — სასახელოა, რომ ჩვენს ფართობებში, რომლებიც 1.200 ჰექტარზეა გადაჭიმული, წელითიწლობით მატულობს მოსავლიანობა. ფართოვდება კომპლექსური მექანიზაცია. მიმდინარე წელს სიმინდის ნათესების 80 პროცენტი დამუშავებულია მანქანებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვაკლია მექანიზატორები. პარტბიუროსუსტად ხელმძღვანელობდა პროფორგანიზაციას. იშვიათად ტარდებოდა მუშათა კრებები, შვიდასკომლიან სოფელში არსებობს მხოლოდ ერთი სმენადი ბაღი, სოფელს აკლია სასმელი წყალი, არ არის საპარიკმახერო, სახელოსნო, ცუდად მუშაობს მუშათა სასადილო...

Ზ. ᲑᲐᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ): — კომუნისტთა ერთი ნაწილი ყოფილი წილკნის კოლმეურნეობიდან სისტემატურად აღღვევდა პარტიულ დისციპლინას. მაგალითად, რამდენი ხანია, რაც ტ. წიკლაური კრებაზე არ ყოფილა. იყო პოლიტსკოლის მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები. უდისციპლინოთა მიმართ პარტბიუროო დაუშვებელ ლმობიერებას იჩენდა. შრომის ორგანიზაციის ბევრი საკითხი პარტბიუროს მსჯელობის საგანი არ გამხდარა. ბევრია გასაკეთებელი თვალსაჩინო აგიტაციის კარგად მოწყობისათვის.

შემდეგ გ. გაბინაშვილმა საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ სადგურის შესახებ არაფერი იწერება რეპუბლიკურ და რაიონულ პრესაში.

Ა. ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ):— მიკვირს, მომხსენებელმა რატომ ილაპარაკა ასე ცოტა სამეცნიერო საქმიანობაზე. ხომ უველამ იცის, რომ სადგურის ძირითადი ამოცანაა მცენარეთა ახალი ჯიშების გამოყვანა, მათი წარმოებაში დანერგვა და ელიტური თესლის წარმოება. ამ დარგში ბევრი გაკეთდა, მაგრამ ბევრი კიდევ გასაკეთებელია. პარტბიუროს პირველი რიგის ამოცანაა იბრძოლოს სამეცნიერო თემატური გეგმების აუცილებლად შესრულებისათვის. ამასთან საჭიროა ბრძოლა, რომ მიღწეული წარმატებები ფართოდ დაინერგოს მეზობელ კოლმეურნეობებში. რა დასამალავია, ჩვენი ზოგიერთი მუშაკი კარგად არ იცნობს რაიონის კოლმეურნეობებს, იშვიათად გამოდის ლექციებითა და მოხსენებებით, არიან ისეთი თანამშრომლები, რომლებიც არ იმაღლებენ ცოდნას. კოლმეურნეობებს არა მარტო თესლით უნდა ვეხმარებოდეთ, არამედ მეცნიერული ცოდნის პროპაგანდითაც.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲗᲐᲛᲯᲓᲣᲛᲐᲠᲘ: — სიტყვა ეძლევა მევენახეობის ბრიგადირს, პარტჯგუფორგს იოსებ ბოსტანაშვილს.

Ი. ᲑᲝᲡᲢᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ — მე სათქმელი არაფერი მაქვს.

ხმა დარბაზიდან: — თქვი კაცო!

Ი. ᲑᲝᲡᲢᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ: — კარგად ვმუშაობთ, კარგ მოსავალსაც ველოდებით. კომუნისტები არ გვარცხვენენ.

Მ. ᲤᲣᲚᲣᲩᲘᲫᲔ (ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ): — ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ სადგურის წინაშე დასახულ ამოცანათა შორის მთავარი მაინც, სამეცნიერო მუშაობაა. უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში ფეხი მოიკიდა მარცვლეული კულტურების ახალმა ჯიშებმა. მაგალითად, „უფხო პირველის“ ხორბალი მაღალმოსავლიანი ჯიშია, მაგრამ ყველგან როდი გვჯრობს. ეს ახლე უნდა იყოს. არ არსებობს ყველა ადგილისა და პირობებისათვის გამოსადეგი ერთი ჯიში. „უფხო პირველის“ ავტორი აკადემიკოსი პ. ლუკიანენკო წერს, რომ ეს ხორბალი ჩრდილოეთ კავკასიის პირობებშიც კი ყველგან როდი გამოდგება. ამიტომ არის, რომ ზოგ მეურნეობაში ამჯობინებენ დოლის პურს და „მოწინავეს“. ჩვენი ამოცანაა მოვამარაგოთ მეურნეობები მათთვის საჭირო ჯიშიანი თესლით. ამ ამოცანას წარმატებთ ვასრულებთ. ჩვენი სადგურის კოლექტივისა და პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა ვიყოთ მეურნეობის მეცნიერულად გაძღოლის შესანიშნავი მაგალითი ყველასათვის. ჩვენ შეგვიძლია თვითეულ ჰექტარზე. ამინდის ყოველგვარ პირობებში მოვიყვანოთ 20-25 ცენტნერი ხორბალი და 60 ცენტნერამდე სიმინდი.

სიტყვას ამბობს მცხეთის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი Ა. ᲠᲐᲖᲛᲐᲫᲔ. იგი ლაპარაკობს კომუნისტთა პირადი მაგალითის დიდ მნიშვნელობაზე, აკრიტიკებს პარტბიუროს საქმიანობის ზოგიერთ მხარეს. სადგურის მუშაკებს მრავალწლიანი ბალახების თესვის მდიდარი გამოცდილება აქვთ. ათი ჰექტარი ბალახის ნათესი მთლიანად უზრუნველყოფს მეურნეობის საჭიროებას. აუცილებელია, ეს გამოცდილება ფართოდ დანერგოთ რაიონის კოლმეურნეობებსა და საკუთარ მეურნეობებში.

მცირე შესვენებისას, სადგურის დირექტორი მ. ფულუკიძე დერეფანში გავიხმე, „ინერტულად“ ხორბლისა და სიმინდის ახალგაზრდა ჯიშების დაწერილებიანი ამბავი. მიხეილმა მიამბო: — კოლმეურნეობისა და სასკოლო მეურნეობის განყოფილებაში „ულა“ — იგი მაღალმოსავლიანი კულტურების სხვადასხვა თესლი. ჩვენ ამას წინათ ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიას ჩავაბარეთ ხორბლის ახალი ჯიში „მილხანა“, რომელიც ჩვენმა მუშაკებმა გამოიყვანეს. ახალი ხორბალი მაღალმოსავლიანია, ადვილად არ ავადდება, კარგი დგომა-დაბუჩქება აქვს, ხასიათდება ცხობის მაღალი ხარისხით, მიღებულია დოლის პურისა და ხუულგუოს შეჯვარებით. ეს ჯიში უკვე ვრცელდება საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.

ხასიხარულოა ახალი ჯიშის სიმინდის გამოყვანა, რომელსაც ჯერ „ნათლია“ არა ჰყავს: ჩვენ მას პირობითად „დატოტვილს“ ვეძახით. ამ სიმინდს ერთი ფესვი აქვს, რომელზეც ხუთი ღერო იზრდება. თვითეულ ღეროზე ორი ტაროა, ასე რომ ერთ სიმინდს ათი-თორმეტი ტარო ექნება. ამას წინათ ჩვენთან სტუმრად იყო სიმინდის გამოჩენილი სელექციონერი, აკადემიკოსი ბ. სოკოლოვი. იგი გულდასმით გაეცნო ჩვენს „დატოტვილს“ და გვთხოვა რაც შეიძლება მეტი თესლი დავაგროვოთ და გავავრცელოთ. სიმინდის ახალი ჯიშის ავტორები არიან ჩვენი მეცნიერი-მუშაკები: კომკავშირელი ზ. ჯინჭიხაძე, კომუნისტები ვ. ჩხიკვაძე და ო. ლიპარტელიანი. ცხრა წლის მანძილზე ისინი თავს დაჩარჯალებდნენ თავიანთ პირმშოს და შრომაც დაუფასდათ.

...დარბაზში კრება გრძელდებოდა. მე ვფიქრობდი კომუნისტების კეთილშობილურ შრომაზე, რომლებიც ბუნების გარდაქმნის დიდ ამოცანას წყვეტენ გაბედულად, კომუნისტურად.

Ა. ᲗᲝᲛᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ თბილისის მშრომელები მზურვალედ განხილავენ და იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალი XXIII ყრილობისათვის მომზადების შესახებ.

საწარმოთა კოლექტივები კისრულობენ ახალ გადდებულ ვალდებულებებს, რათა პარტიის XXIII ყრილობას შეხვდნენ დიდი შრომითი მიღწევებით. თბილისის პარტიული ორგანიზაცია, ყველა მშრომელი ცდილობენ კიდევ უფრო გაზარდონ მშობლიური ქალაქის როლი კომუნისტურ მშენებლობაში, უფრო სრულად და ფართოდ გამოიყენონ თბილისის სამრეწველო საწარმოთა რეზერვები, გადაკრით ებრძოლონ ყველაფერს, რაც ხელს უშლის ჩვენი ქალაქის შრომითს, საზოგადოებრივ, კულტურულ ცხოვრებას.

ეს პატრიოტული სულისკვეთება მკაფიოდ გამოვლინდა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის VIII პლენუმზე, რომელმაც განიხილა საკითხები: „პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და მოსახლეობის მომსახურების მაღალი კულტურისათვის ბრძოლაში“ და „როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის III პლენუმის 1964 წლის 26 ივლისის დადგენილება „ქალაქ თბილისის სამრეწველო საწარმოებში წარმოების კულტურისა და პროდუქციის ხარისხის მდგომარეობისა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ლოლაშვილმა.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ წლითიწლობით იცვლება საქართველოს დედაქალაქი, იქმნება სულ უფრო ხელშემწყობი პირობები საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფაცხოვრებისათვის. ფართოვდება სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების, მაღაზიების, კინოთეატრების, კომუნალური მომსახურების საწარმოთა ქსელი, უმჯობესდება მოსახლეობის წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგება, ქალაქის ტრანსპორტით მომსახურება.

თბილისი სამართლიანად ამაყობს სამრეწველო საწარმოების კოლექტივებისა და მშენებლების შრომის ნაყოფით. ისინი მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ ნაკეთობათა წარმოებისა და ახალმშენებლობათა ამუშავების დავალებებს.

მაგრამ ცოტა როდია გადაუჭრელი პრობლემა. ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის ზოგიერთი სამრეწველო ნაწარმის, მათ შორის სახალხო მოხმარების საგნების ხარისხი, მთელ რიგ საწარმოებში დაბალია წარმოების კულტურა, სათანადო დონეზე არ არის მოსახლეობის მომსახურების კულტურა.

საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ცოტას როდი მუშაობენ პარტიული ორგანიზაციები. პარტიის 26 კომისრის, ოქტომბრის, ლენინისა და სხვა რაიკომების ინიციატივით საწარმოებსა და დაწესებულებებში, საცხოვრებელ უბნებსა და სახლებში დაიწყო მოძრაობა იმისათვის, რომ კოლექტივებში არ იყოს წესრიგის დარღვევის არც ერთი შემთხვევა. მნიშვნელოვნად გააქტივეს საქმიანობა პენსიონერთა და შრომის ვეტერანთა საბჭოებმა. სახლმმართველობებმა მასობრივი პოლიტიკური მუშაობა გააჩაღეს მოსახლეობაში.

პლენუმზე სერიოზული ყურადღება დაეთმო მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლებას. გარკვეული წარმატებების მიუხედავად, ამ საქმეში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. მაგალითად, სავაჭრო ორგანიზაციების, ტრესტებისა და მაღაზიების ზოგიერთი ხელმძღვანელის მოუქნელობისა და უპასუხისმგებლობის გამო ფერხდება მოსახლეობის მომარაგება პირველი საჭიროების საქონლით, მაშინ, როცა ხშირად ეს საქონელი საწყობებში დევს. ხშირია საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევის შემთხვევები. მოსახლეობის მზარდ მოთხოვნებს ჩამორჩება მომსახურების დონე ნოფილმი „გიყვარდეს შენი ქალაქი“, კომუნალურ-საყოფაცხოვრები საწარ- რომელიც საქართველოს ტელევიზიის მოეშენ. ბევრი სერიოზული საყვედური სტუდიამ გადაიღო. (საქდესი).

ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ. პარტიის რაიკომმა მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების ახალარჩეული მდივნებისა და მათი მოადგილეების ერთდღიანი სემინარი. სემინარს დაესწრნენ აგრეთვე საბრიგადო პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

სემინარის მსმენელებმა მოისმინეს პარტიის რაიკომის პირველი მდივნის ა. ბეკაურის მოხსენება თემაზე: „პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ამოცანები პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის ამაღლების საქმეში“.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ცალკეულ საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდნენ პარტიის რაიკომის აპარატის მუშაკები.

ᲚᲘᲠᲘᲡᲣᲚᲐᲓ შეეხვდეთ პარტიის XXIII ყრილობას! — ასეთი დევიზით გაიჩაღეს შრომა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მეორე სართავ საამქროში. შრომითი ვალდებულებების შესრულებაში უკვე დაწინაურდა მრთველის ლიანა დობაძიშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადა. სურათზე: ლ. დობაძიშვილი (მარცხნივ) ბრიგადის წევრს ა. ბერუაშვილს უჩვენებს, თუ როგორი უნდა იყოს მაღალხარისხოვანი სატრიკოტაჟე ნართი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა ნაკეთობათა ტექნიკური დონის, ხარისხისა და საიმედოობის ყოველი ღონისძიებით ამაღლება, პროდუქციის სისტემატური და გეგმაზომიერი განახლება უახლეს სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა ბაზაზე, რათა უახლოეს წლებში მივაღწიოთ და „გავუსწროთ მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშების დონეს.

როგორ ხორციელდება ეს ამოცანა? საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა შეამოწმა მუშაობა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათსამშენებელო, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის სამმართველოთა საწარმოებისა, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს უშვებენ. შემოწმებამ ცხადყო, რომ უკანასკნელ წლებში დასახელებულ სამმართველოთა საწარმოებში გაწეულია გარკვეული მუშაობა სპეციალიზაციის დარგში, ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, ტექნოლოგიის სრულყოფისათვის, წარმოების გაფართოებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ამასთან ერთად გამოირკვა, რომ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო მოხმარების საქონლის გამოშვების საასორტიმენტო გეგმა წესდება ისე, რომ ჯეროვნად არ ითვალისწინებენ მოხმარებელთა მოთხოვნას. გრძელდება გამოშვება მოძველებული ნიმუშებისა და დაბალი ხარისხის ნაწარმისა, რომელსაც სერიოზული საწარმოო დეფექტები აქვს.

1964 წელს და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შემოწმებულ იქნა მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს საწარმოთა მიერ დამზადებული 150.400 ნაკეთობა. ამ რიცხვიდან რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციამ დაიწუნა და შესასწორებლად დაუბრუნა 33.900 ერთეული, ანუ 22,5 პროცენტი. სახალხო მეურნეობის საბჭოს ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს საწარმოთა 7.900 ნაკეთობიდან დაწუნებულია 5.500, ანუ 70 პროცენტი.

რეკლამაციები და მომხმარებელთა სამართლიანი საჩივრები დიდ ოდენობით მოდიოდა პროდუქციაზე, რომელსაც უშვებს ქარხანა „თბილგაზაპარატი“ (დირექტორი ამხ. ჯაფარიძე, მთავარი ინჟინერი ამხ. გოგიჩაძე), ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხანა (დირექტორი ამხ. ხარაზი, მთავარი ინჟინერი ამხ. კეკუა), თბილისის № 2 მექანიკური ქარხანა (დირექტორი ამხ. ჩიხლაძე, საწარმო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ამხ. პაატარაია) და ქარხანა „აკატი“ (დირექტორი ამხ. გვარიშვილი, მთავარი ინჟინერი ამხ. პაპავა).

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოს სამეურნეო საქონლით ვაჭრობის საბითუმო ბაზამ შემოწმებული 97.500 ნაკეთობიდან თბილისის №№ 1, 2, 3, 4 მექანიკურ ქარხნებსა და ქარხანა „თბილგაზაპარატს“ დაუბრუნა 96.400 უხარისხო ნაკეთობა. ცალკეულ სახეობათა საქონლის შემოწმების შედეგად დაწუნებულ იქნა ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხნის საწყობებში არსებული ფორმირებულია, დაზიანებულია მინანქრის საფარი, რის შედეგადაც 1964 წელს ქარხნის წუნმა შეადგინა მთელი გამოშვებული პროდუქციის ექვსი პროცენტი, ხოლო 1965 წელს ექვს თვეში ცხრა პროცენტზე მეტი. თბილისის ქარხანა „აკატში“ ელექტროდანადგარის ნაკეთობათა ოთხ პროცენტზე მეტი ბრაკი ფორმრეის უწესრიგობის გამო წუნში მიდის.

ქარხანა „თბილგაზაპარატში“, ბათუმის მექანიკურ ქარხანასა და თბილისის მთელ რიგ მექანიკურ ქარხნებში, აგრეთვე სხვა საწარმოებში გამოვლინებულია ფაქტები ზოგიერთი სახეობის ნედლეულისა და მასალების ნებისმიერი შეცვლისა სხვა ნედლეულითა და მასალებით ხარისხის საზიანოდ.

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ — ᲧᲣᲠᲐᲦᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ!

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ — ᲛᲐᲨᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ, ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა ნაკეთობათა ტექნიკური დონის, ხარისხისა და საიმედოობის ყოველი ღონისძიებით ამაღლება, პროდუქციის სისტემატური და გეგმაზომიერი განახლება უახლეს სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა ბაზაზე, რათა უახლოეს წლებში მივაღწიოთ და „გავუსწროთ მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშების დონეს.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲓᲔ

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება და უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულების გაძლიერების შესახებ უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს წარმოების მუშაკებს.

მიიღო მოგება — ეს ნიშნავს წარმოების მოქნილად გაძღოლას, შემოქმედებითად ხელმძღვანელობას.

მოგება ისეთი ფაქტორია, რომელშიც ჩანს საწარმოს თითქმის ყველა ძირითადი ეკონომიური მონაცემები.

ჩვენი ქარხნის მიერ გამოშვებული ხანძარსაწინააღმდეგო შემტყობინებლიდან წელს საგარანტიო შეკეთებაზე უკან დაგვიბრუნეს 182 ცალი, რამაც ქარხანას გარკვეული ზარალი მიაყენა. შესაბამისად შეცირდა მოგების რაოდენობა. მართალია, მოგების გეგმის შეუსრულებლობისათვის ქარხნის ხელმძღვანელობამ სათანადო ადმინისტრაციული სასჯელი მიიღო, მაგრამ მატერიალურად ეს დანაკლისი ქარხნის კოლექტივს არც განუცდია. ვინაიდან ბრეწველობის მართვის დღემდე არსებული წესების მიხედვით საწარმოს კოლექტივი მოგებიდან თითქმის არაფერს იღებდა წახალისების სახით.

არარეალური დაგეგმვის გამო ქარხანაში ჩაწოლილია 100 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქცია. მაშასადამე, არ სრულდება რეალიზაციის გეგმა. ამის გამო არ შესრულდა მოგების დავალებაც.

ეს ორი ფაქტი ნათლად მეტყველებს, თუ სადამდე მივყავართ არასწორ დაგეგმვას და უხარისხო პროდუქციის გამოშვებას.

დღეს ყველასათვის ნათელი ხდება, რომ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება მოგების ზრდის უტყუარი ფაქტორია, ე. ი. წასალისების ფონდის ზრდის ფაქტორიც არს. არსებული წესით პრემიალური ანაზღაურება ხდება წარმოების დაგეგმილი ხელფასის ფონდის ეკონომიიდან. რამდენი მოგებაც უნდა მიიღო, თუ ხელფასის ფონდის ეკონომია არა გაქვს, პრემიალურ ანაზღაურებას ვერ მიიღებ.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ვიწრო ადგილია ჩვენს საწარმოში. ხშირად მატერიალური ფონდები არარეალურია. ამის გამო იძულებული ვიყავით გამოგვეყო ეგრეთწოდებული „წამბიძგებლები“, შორეული ქალაქებიდან თვითმფრინავით გვეზიდა მასალები და მაკომპლექტებელი ნაწარმი, რასაც მოსდევს უნაყოფო ხარჯების, პროდუქციის თვითღირებულების ზრდა, შესაბამისად კი მოგების შემცირება.

ჩვენთვის ახლა ნათელია, თუ ახალი კანონი რამდენად ზრდის ყველა მომწოდებლისა და სატრანსპორტო ორგანიზაციების პასუხისმგებლობას მასალების დროული მიწოდებისათვის.

ამიერიდან დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს მასალის არადროული მიღებით, ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული ზარალის მთლიანი ანაზღაურება.

მომწოდებელსა და დამკვეთს შორის დღემდე არსებული საჯარიმო სანქციები ძალიან მცირეა მომწოდებლისათვის, ხოლო დამკვეთისათვის თავის დროზე მიუღებელი მასალებით გამოწვეული ზარალი იმდენად დიდია, რომ ნებისმიერი მომწოდებელი ეცდება ანაზღაურებინოს ეს ზარალი. ეს ფაქტორი ხელს უშლიდა ეკონომიურ ანგარიშს, ეკონომიურ ანგარიშს ეშალა ფეხი. ეს ფაქტორი ხელს უშლიდა ეკონომიურ ანგარიშს, ეკონომიურ ანგარიშს ეშალა ფეხი. ეს ფაქტორი ხელს უშლიდა ეკონომიურ ანგარიშს, ეკონომიურ ანგარიშს ეშალა ფეხი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ

ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ. პარტიის რაიკომმა მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების ახალარჩეული მდივნებისა და მათი მოადგილეების ერთდღიანი სემინარი. სემინარს დაესწრნენ აგრეთვე საბრიგადო პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

სემინარის მსმენელებმა მოისმინეს პარტიის რაიკომის პირველი მდივნის ა. ბეკაურის მოხსენება თემაზე: „პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ამოცანები პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის ამაღლების საქმეში“.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ცალკეულ საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდნენ პარტიის რაიკომის აპარატის მუშაკები.

ᲘᲗᲔᲡᲔᲑᲐ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲘ

ᲡᲘᲚᲜᲐᲮᲘ. (საკ. კორ.). მხვნელ-თესველნი მინდვრად გავიდნენ, ხორბლის თესვა დაიწყეს. ძველი ანაგის კოლმეურნეობის მექანიზატორები ფ. და ა. ბეგიაშვილები თესვის ღიღიურ დავალებას გადამეტებით ასრულებენ. პირველ ორ დღეს 60 ჰექტარი დათესე

მჯკიცე ნაბიჯით

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 16 წლისთავი

◆

მჯკიცე ნაბიჯით მიდის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მომავლისაკენ. 7 ოქტომბერს იგი თავის 16 წლისთავს აღნიშნავს. ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას, ვინაიდან ეს არის პირველი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო გერმანიის მიწა-წყალზე. გერმანიის ერთ ნაწილში — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიმარჯვა სოციალისტურმა საწარმოო ურთიერთობამ. ახლა აქ ხორციელდება მეცნიერული სოციალიზმის იდეები, რომლებიც პირველად შეიმუშავეს გერმანელი ხალხის დიდმა შვილებმა — კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლები არის წლები ახალი ცხოვრების მშენებლობისა გერმანიის იმ ნაწილში, რომელიც ოდერსა და ელბას შორის მდებარეობს. სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ძმური თანამშრომლობით ახალგაზრდა რესპუბლიკამ უდიდესი წარმატება მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობის ზრდაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა განუხრელად ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას და ამით თავისი ავტორიტეტი განამტკიცა საერთაშორისო ასპარეზზე.

ეს სახელმწიფო, რომელშიც 17 მილიონი კაცი ცხოვრობს, ახლა მსოფლიოს ათი წამყვანი ინდუსტრიული სახელმწიფოს რიცხვს ეკუთვნის. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სწრაფად განვითარდა ეკონომიკის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგები, როგორიცაა ქიმია, მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკა, ენერგეტიკა. რესპუბლიკას სამართლიანად უწოდებენ ქიმიის ქვეყანას. ერთ სულ მოსახლეზე ქიმიური პროდუქციის წარმოების მხრივ მას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია მსოფლიოში. თუ ცოტა ხნის წინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქიმიური საწარმოების ძირითადი საქმიანობა მურა ქვანახშირის გადამუშავება იყო, ახლა აქ წარმატებით ვითარდება ნავთობქიმია.

მძიმე პოლონეთის საზღვარზე, ოდერის ნაპირზე, შვედეთში ამუშავდა ახალი ნავთობგადასამუშავებელი კომბინატი. აქ ნავთობსადენ „შეგობრობით“ მოდის ნავთობი საბჭოთა კავშირიდან. შვედეთს კომბინატი და ქიმიური კომბინატი „ლენა-2“ უახლოეს წლებში გადაიქცევა მთავარ რგოლებად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნავთობქიმიის განვითარებაში. პერსპექტივები, რომლებსაც ნავთობქიმია სახავს, თვალსაჩინოდ ჩანს შემდეგი მაგალითით. იმდენ სხვადასხვა პროდუქტს, (ბენზინი, მაზუთი, საცხები ზეთი, სინთეზურ ნივთიერებათა საწყისი ნედლეული და სხვ.) რამდენსაც წინათ 110 მილიონი ტონა მურა ქვანახშირი იძლეოდა, ახლა მიიღებენ 6 მილიონ ტონა ნავთობიდან (ამდენ ნავთობს მიიღებს ყოველწლიურად შვედეთის კომბინატი).

ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტროენერგიის მოხმარება რესპუბლიკაში. უკვე შარშან ელექტროენერგიის წარმოებამ გადააჭარბა 50 მილიარდ კილოვატსაათს. ამან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ჩააყენა მსოფლიოს იმ ათი ქვეყნის რიცხვში, რომლებიც ელექტროენერგიის უდიდესი მწარმოებელნი არიან.

ყველა საფუძველი აქვთ კანონიერად იამაყონ თავიანთი წარმატებებისათვის ეკონომიკის ისეთი დარგების მუშაკებს, როგორიც არის მძიმე მანქანათმშენებლობა, ოპტიკა და ზუსტი მექანიკა, საზღვაო გემთმშენებლობა, ელექტროტექნიკა, პოლიგრაფიული მანქანათმშენებლობა. მათი პროდუქცია ფართოდ ცნობილია საზღვარგარეთის ქვეყნებში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა საერთაშორისო საქონელბრუნვის განვითარებაში. მისი ტრადიციული ლაიფციგის ბაზრობანი აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორის ვაჭრობის მსოფლიოში ცნობილი უდიდესი ცენტრებია. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის სამი მეოთხედი სოციალისტური ქვეყნების წილად მოდის. შარშან ამ სახელმწიფოებთან ვაჭრობამ თითქმის 18 მილიარდ მარკას მიაღწია. ეს ნიშნავს, რომ 1950 წელთან შედარებით იგი ექვსნახევარჯერ გაიზარდა. საბჭოთა კავშირი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი საგაჭრო პარტნორია. მისი საგარეო ვაჭრობის ბრუნვის თითქმის 50 პროცენტი სსრ კავშირის წილად მოდის. ამასთანავე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას პირველი ადგილი უკავია საბჭოთა ქვეყნის უკეთესი საგარეო საგაჭრო პარტნორს შორის.

ფართოვდება რესპუბლიკის სავაჭრო ურთიერთობა არასოციალისტურ ქვეყნებთან. მაგალითად, მისი საქონელბრუნვა ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებთან 1965 წლის პირველ ექვს თვეში თითქმის 18 პროცენტით გაიზარდა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

ოდერის შვედეთს ნავთობგადასამუშავებელი კომბინატი, როსტოკის საზღვაო ნავსადგური, ლუბენაუს 1.300 მეგავატი სიმძლავრის თბოელექტროცენტრალი, ენერგეტიკული კომბინატი „შვარცე პუმპე“, ბალტიის საპაროზე აშენებული თანამედროვე გემთსაშენებელი ქარხნები, ტიურინგიის მთებში აგებული დიდი კაშხალები და ფყალსაცავები, აიზენაიუტენშტადტის მეტალურგიული კომბინატი „ოსტი“ — ყოველივე ეს დიდმნიშვნელოვანი ნიშნსვეტებია მუშურ-გლეხური სახელმწიფოს 16 წლის გზაზე. ისევე როგორც ბევრი ათეული სხვა დიდი სამრეწველო ობიექტი, ეს საწარმოებიც სახალხო ხელისუფლების წლებში აშენდა. ისინი მოწმობენ ახალი, სოციალისტური გერმანიის მოქალაქეთა შრომითს მამაცობას.

კ. სავინი,
საკდესის კორესპონდენტი.
ბერლინი.

• • •

მასწავლებლის სახლი და კონფერენცდარბაზი, აგებული ბერლინის ცენტრალური ნაწილის რეკონსტრუქციის გეგმის მიხედვით. უკანა პლანზე — ახალი საცხოვრებელი სახლები.

ფოტო ცენტრალბილდ-ეას-ისა.



რესპუბლიკის დღის აღსანიშნავად

ბერლინი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 16 წლისთავის აღსანიშნავად სახელმწიფო საბჭომ ორდენებითა და სამადლო წოდებებით დაჯილდოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 51 კოლექტივი და 117 მოქალაქე.

დღეს ჯილდოების გადაცემისას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. დიკმანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა განუხრელად იბრძვის განიარაღების პოლიტიკისათვის, დაძაბულობის შენელებისა და უთანრთგაგებისათვის. იგი ძმური შეგობრობით არის დაკავშირებული სოციალისტურ ქვეყნებთან, და უწინარეს ყოვლისა მძლავრ საბჭოთა კავშირთან.

ეფექტიანი ღონისძიებები

ლ. ჯონსონის ორი განცხადება

ვაშინგტონი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა დღეს გამოაცხადა, რომ 17-18 ნოემბერს თეთრ სახლში მოიწვევა კონფერენცია ამერიკელი ზანგების პრობლემათა განსახილველად და ზანგი მოსახლეობისათვის თეთრკანიანთა თანაბარი უფლებების მინიჭების გზების გამოსაძებნად.

ჯონსონმა ზანგების დისკრიმინაციას ამერიკაში უწოდა „ქვეყნის ყველაზე რთული საშინაო პრობლემა“ და განაცხადა: „ჩვენ ვიწყებთ ახალ, გაცილებით უფრო ძნელ პერიოდს“ ამერიკელ ზანგთა განთავისუფლებაშიო.

ნიუ-იორკი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ 7 ოქტომბერს წვება ჰოსპიტალში საოპერაციოდ. პრეზიდენტს ამოკვეთენ ნაღვლის ბუშტს, რომლის ნორმალური ფუნქცია დარღვეულია. ჯონსონმა კორესპონდენტებს, რომლებიც შეიკრიბნენ მას კაბინეტში თეთრ სახლში, აცნობა, რომ ექიმების აზრით გარკვეული დროის განმავლობაში იგი ჩვეულებრივად ვერ იმუშავებს. მან განაცხადა, თუ ამ პერიოდში საჭირო გახდა რაიმე გადაწყვეტილების მიღება პრეზიდენტის დონეზე, ამას ვიცე-პრეზიდენტი ჰემფრი შეასრულებსო.

„საერთო ბაზრის“ ჭრიზისი

ბრიუსელი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). „საერთო ბაზრის“ ახლანდელი კრიზისი ყველაზე დიდი კრიზისია 1957 წლის შემდეგ, განაცხადა ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სპაააკმა, რომელიც გუშინ გამოვიდა ბრიუსელის საფრანგეთის საგაჭრო პალატაში.

სპა

ახალი ამბები · ყველაფერი

ლიბანელ პარლამენტართა მადლობა

სამშობლოში გაფრენის წინ ლიბანელ პარლამენტართა დელეგაციის მეთაურმა, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ადიბ ფერგლმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გამოუგზავნა დეპეშა.

„ლიბანელ პარლამენტართა დელეგაციის სახელით, — ნათქვამია დეპეშაში, — დიდ მადლობას გიძღვნით გულითადი მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც დელეგაციას გაუწიეს საქართველოს სს რესპუბლიკაში ყოფნის დროს. დელეგატები იმედს გამოთქვამენ, რომ საქართველოში ვიზიტის დროს გამართული შეხვედრები და საუბრები ხელს შეუწყობენ ლიბანელი და საბჭოთა ხალხების ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საქმეს“.

ადიბ ფერგლი წერს, დელეგაციის წევრები ამაყობენ იმით, რომ ისინი შედეგიდნენ ლიბანის პარლამენტის პირველი დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც საბჭოთა კავშირს ეწვია.

◆

უნგრეთის გამოფენის წარმატება

საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებლები და უამრავი სტუმარი ათ დღეს ეცნობოდნენ უნგრეთის საგარეო ვაჭრობის საწარმოების · „ელექტრომიმეჩქონისა“ და „მეტრომიეჩქონის“ ნაწარმის გამოფენას. 47 ათასმა კაცმა ნახა კავშირგაბმულობის საშუალებათა ექსპოზიცია საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს „სიმულტონის“ ტიპის უმავთულო მოწყობილობას მთავრმხელებისათვის, მრავალარხიან მაგნიტოფონს, სატელევიზიო და ულტრამოკლეტალღიან გადამცემებს, რადიომიმღებებსა და „ორიონის“ მარკის ტელევიზორებს.

გამოფენის დასურვის შემდეგ დაიღო ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი შეიძენს ექსპონატების მნიშვნელოვან ნაწილს.

(საქდესი).

ᲙᲝᲩᲐᲠᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲙᲐᲠᲣᲚᲘ

ამ დღეებში დიდი ზეიმი ჰქონდათ კოჩარელებს: ამ სოფლის ცხოვრებაში ერთმანეთს დაემთხვა ორი მოვლენა — სკოლის დაარსების სამოცი წლისთავი და საშუალო სკოლის ახალი კეთილმოწყობილი შენობის გახსნა...

კოჩარელ მშრომელებს მუყაითი შრომით აქვთ მოპოვებული ზეიმის უფლება. ისინი სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ თავიანთი დანაზოგით ნორჩებს აუშენეს სკოლის სამსართიანი კეთილმოწყობილი შენობა. კოლმეურნეობა „საქართველოს“ გამგეობამ კი სკოლას გადასცა ორსართულიანი კანტორის შენობაც, რომელსაც გარშემო პარკი აკრავს.

— სამოცი წლის წინათ, — თქვა სოფლის კულტურის სახლში გამართულ ზეიმზე სკოლის დირექტორმა ვ. ხუციელავამ, — ერთი მასწავლებელი — ანდრო კალანდია — ასწავლიდა ნორჩებს. დღეს კი კოჩარის საშუალო სკოლაში, რვაწლიან და დაწყებით სკოლებში 84 პედაგოგი ზრდის მომავალ თაობას. ამჟამად სოფელში ერთი საშუალო, ორი რვაწლიანი და ხუთი დაწყებითი სკოლაა. ამ სკოლებში მეცნიერების საფუძვლებს 1.825 მოსწავლე იუფლებს.

დღეიდან კოჩარელი მოსწავლეები გადავლენ ერთეულიან მეცადინეობაზე. სასიხარულოა რომ, კოჩარის საშუალო სკოლას შთა რუსთაველის სახელი მიეკუთვნა. დიდი პოეტის დაბადების 800 წლისთავისათვის მზადების დღეებში კოჩარელი მოსწავლეები პირობას იძლევიან, რომ არ შეარცხვენენ ამ საყვარელ სახელს.

— თავი ზღაპარში მგონია, — ამბობს მხცოვანი პედაგოგი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, ლენინის ორდენოსანი, ამჟამად პენსიონერი სოკრატ კოტკარია, — რამდენს ვოცნებობდით ამ დღეზე. ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია მოგილოცოთ ეს დიდი დღესასწაული.

კოჩარის სკოლადამთავრებული, ამჟამად პენსიონერი დესპინე ბებია იგონებს წარსულს, სიყვარულით ლაპარაკობს თავის მასწავლებლებზე, მშობლიურ სკოლაზე.

გულთბილი სიტყვა წარმოთქვა კოლმეურნეობის პარტიული ბიუროს მდივანმა პ. ხორდიამ. — წინ კიდევ რამდენიმე მშენებლობაა გათვალისწინებული, — ამბობს იგი, — ახალი საავადმყოფო, მაღაზია, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ელექტროგაყვანილობა და ა. შ.

სკოლის მშენებლობის სახალხო საქმეებზე დამსწრეთ მოუთხრო ინჟინერმა ტ. კვარაცხელიამ.

აფხაზეთის ასსრ საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით იუბილარს მიესალმა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი მ. ხვარწია. მან კოჩარის საშუალო სკოლის მასწავლებლებს, მოსწავლეებს, სოფლის ყველა მშრომელს უსურვა ახალ-ახალი წარმატებები შრომასა და სწავლაში.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ოჩამჩირის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ო. ურიდია.

იუბილარს მისალმების დეპეშები გამოუგზავნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ძოწენიძემ, კოჩარელთა დეპუტატმა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში კრიტიკოსმა ბ. ულიანტმა და სხვ.

სიტყვა წარმოთქვა აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ქ. კოკაიამ. მან სასკოლო მშენებლობაში ენერგიული მუშაობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამკერდე ნიშანი „სახალხო განათლების წარჩინებული“ გადასცა სკოლის დირექტორს ვ. ხუციელავას და კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარეს ლ. გოგუას.

სასოფლო საბჭომ ქართული ეროვნული ტანსაცმლით დასაჩუქრა უხუცესი კოლმეურნე, 1908 წელს კოჩარის სკოლის მშენებელი ასლან ბოკორიშვილი, რომელიც დაეხმარა სოფლის ამ დიდ ზეიმს. სკოლის მშენებლობაში თავდადებული მუშაობისათვის ფასიანი საჩუქრები მიიღეს აგრეთვე ვ. გრიგორიანმა, ა. დარაგაჩიანმა, ტ. კვარაცხელიამ და გ. ქვაცაბაიამ.

მეზობელ სოფლის — ჯგერდის კოლმეურნეებმა კოჩარის ახალ სკოლას საჩუქრად მიართვეს პიანინო...

ზეიმის მონაწილენი გაემართნენ სკოლის ახალი შენობისაკენ. აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ოტირბა ჭრის წითელ ლენტს და ულოცავს ამ დიდ საჩუქარს პედკოლექტივს, მოსწავლეებს, სოფლის მშრომელებს. ზეიმის მონაწილენი დიდი კმაყოფილებით ათვალიერებენ სკოლის ახალ, კეთილმოწყობილ ნაგებობას.

... გვიან ღამემდე გაგრძელდა კოჩარის მშრომელთა ზეიმი, სიმღერები და ცეკვა...

ამ დღეებში კიდევ ერთი სიხარული ჰქონდათ კოჩარელ პედაგოგებს... „მასწავლებლის დღის“ დაწესება მათი ღვაწლის, შრომისა და ამაგის დიდი დაფასების ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულებაა და იმათაც სხვებთან ერთად იზეიმეს ეს დღესასწაული...

ი. ᲒᲝᲒᲝᲩᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

კოჩარელი გოგო-ბიჭები ახალი სკოლის შენობაში სწავლის დაწყებას ზეიმობენ. ეს შენობა (მარჯვნივ) მათ აუგეს სოფლის მშრომელებმა, მშობლებმა, უფროსმა მეგობრებმა. მოსწავლეებს ისიც ახარებთ, რომ ამიერიდან მხოლოდ ერთ ცვლად იმეცადინებენ; ამის საფინდარი გახლავთ ეს ორსართულიანი კაპიტალური შენობა (მარცხნივ), რომელიც სოფელ კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველოს“ გამგეობამ სკოლას საჩუქრად გადასცა.

ფოტო მ. ᲗᲐᲠᲐᲡᲝᲕᲘᲡᲐ.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ წავიდა ჩვენგან ქართული ლიტერატურის ჩუმი და უანგარო მუშაკი, შესანიშნავი მთარგმნელი და ეკონომისტი, ბეჯითი მშრომელი და საუკეთესო ადამიანი **მოსე იაკობის-ძე ᲩᲐᲠᲩᲐᲕᲐ.**

მ. ი. ჭარჩავა დაიბადა 1916 წ. ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ჭოლაში. 1935 წელს დაამთავრა ზუგდიდის პედაგოგიური ტექნიკუმი. 1937 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ინგლისური ენის სპეციალობაზე. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ფრონტის წინა ხაზზე გაემგზავრა და იარაღით ხელში იცავდა დედასამშობლოს. მან თავის მხრივ ბევრი ომის ქარიშხალი, გამოსცადა საკონცენტრაციო ბანაკების სამნეულება, მონაწილეობდა ბუდაპეშტის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

1946 წელს მოსე ჭარჩავა სამშობლოში დაბრუნდა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1948 წელს.

1948-52 წლებში მუშაობდა ინგლისური ენის კათედრაზე ჯერ უფროსი პრეპარატორის, ხოლო შემდეგ ლაბორანტის თანამდებობებზე. 1956-58 წლებში იგი იყო საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ლიტერატურულ-დრამატული გადაცემების რედაქტორი.

1958 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე იყო ჟურნალ „ნიანგის“ პასუხისმგებელი მდივანი და სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქმის დიდი ცოდნით, ერუდიციით და სიყვარულით ასრულებდა თავის მოვალეობას.

მოსე ჭარჩავა [illegible] ... ლიტერატურის თარგმანის გადაწყვეტილებით [illegible] ... ლიტერატურული ლიტერატურა. მათ შორის აღსანიშნავია შექსპირის „ტიმონ ათენელი“, სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“, უალდის „თავდადებული მეგობარი“, ბაირონის „სარდანაპალი“ და ლირიკული ლექსები, ლორდ ბაირონის მოთხრობები, შოუს „პიგმალიონი“, ჰემინგუეის „ორმოცდაათი ათასი“ და „უძველესი“, დრაიზერის „ფანანსისტი“, უოტერსის ლექსები... უკანასკნელად იგი მუშაობდა დრაიზერის „გენიოსის“ თარგმანზე.

მოსე ჭარჩავას თამამი კალამი ჰქონდა. ამას მოწმობს მისი სატირული ოიუმორისტული ნაწარმოებები — ლექსები, მოთხრობები, ფელეტონები, რომელთა ნაწილი ქართულ ჟურნალებში იბეჭდებოდა ჩვენს ბრალში, ქვეყნდებოდა ცალკე წიგნებად.

სწორედ შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში უღალატა მოსე ჭარჩავას მისმა კეთილმა გულმა. არ დასცალდა ბევრ მეგობარსა და ჩანაფიქრს · განხორციელება.

მან ვაჟკაცურად განვლო ცხოვრების რთული გზა, მაღალი სიყვარულით უყვარდა თავისი ქვეყანა და ერთგულად ემსახურებოდა მის კეთილდღეობას.

მოსე ჭარჩავას ნათელი სახე არასოდეს არ წაიშლება მისი მეგობრების ხსოვნაში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲙᲝᲩᲐᲠᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲙᲐᲠᲣᲚᲘ

ᲚᲐᲢᲕᲘᲐᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება 1966 წელს ფულისა და ნივთების ლატარიის მოწყობის შესახებ.

1966 წელს გამოშვებული იქნება 5.580.000 მანეთის ლატარიის ბილეთი. ამ ოთხხის 60 პროცენტი გაიცემა მოგებაზეკეთილი ლატარიის ბილეთების გასაზიდვლად.

ოვითეული ლატარიის ბილეთის ღირებულება განისაზღვრება 30 კაპიკით. გამოშვებული ბილეთების ყოველი ასი ცალიდან მოგება შეხვდება 10 ბილეთს. სულ მომავალ წელს ლატარიის 12 გამოშვება იქნება. ოვითეული გამოშვების თანხა განისაზღვრება 465.000 მანეთით.

ტირაჟები გაიმართება ყოველი თვის 25 რიცხვში — ქ. თბილისში სამი ტირაჟი, ხაშურში, ორჯონიკიძეში, ქუთაისში, ვაწში, სარეხერეში, ბათუმში, თიანეთში, მცხეთაში, რუსთავში.

ლატარიის ბილეთები გაიყიდება შემნახველ ხალაროებში, პარკებში, სტადიონებზე, თეატრებში, კინოთეატრებში, მაღაზიებში, ხაზოგადოებრივი კვების საწარმოებში, კავშირგაბმულობის საწარმოებში, გაზეთის კიოსკებში, რკინიგზის მატარებლებში, ვაგზლებში და ნავსადგურებში, ნაღდ ანგარიშზე სრული ნებაყოფლობის საფუძველზე.

ლატარიის ტირაჟებში გათამაშებული იქნება ავტომანქანები: „ვოლგა“, „მოსკვიჩი“, „ზაპოროჟეცი“, პიანინოები, ტელევიზორები, მაცივრები, საგზურები ხაბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაურად ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი“, რადიოლები, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები, ფოტოაპარატები, კაცის ოქროს მაჯის საათები და ელექტროსამართებლები. სულ ნივთმოგებები გამოშვებული იქნება 1.132.872 მანეთის.

გარდა ამისა, გათამაშდება 2.215.128 მანეთის ფულადი მოგებები, მათ შორის: 1000 მანეთიანი, 500, 300, 200, 100, 50, 25, 15, 10 და 1 მანეთიანი მოგებები.

სულ ნივთმოგებებსა და ფულად მოგებებზე გაცემული იქნება 3.348.000 მანეთი.

1966 წელს ლატარიის გამოშვების პირობები ბევრად უფრო ხელსაყრელია მოსახლეობისათვის, ვიდრე 1965 და წინა წლებში იყო. მაგალითად, თუ ლატარიის მოგებებზე 1965 წელს გაიცემოდა საერთო თანხის 50 პროცენტი, 1966 წელს გაცემული იქნება 60 პროცენტი, ე. ი. 10 პროცენტით მეტი, ვიდრე 1965 წელს, ხოლო გამოშვებული ყოველი 100 ბილეთიდან 1966 წელს მოგება ხვდება 10 ბილეთს ნაცვლად 1965 წლის 9 ბილეთისა.

თუ 1965 წელს თამაშდებოდა 12 ავტომანქანა „ვოლგა“, 60 „მოსკვიჩი“, 240 პიანინო, 300 მაცივარი, 1966 წელს გათამაშდება 24 ავტომანქანა „ვოლგა“, 96 ავტომანქანა „მოსკვიჩი“, 420 პიანინო, 480 მაცივარი და მნიშვნელოვანი რაოდენობით სხვა ძვირფასი ნივთები.

1965 წელთან შედარებით გაზრდილია აგრეთვე ფულადი მოგებების რაოდენობა.

Ш. ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სსრ სახშრომშემსახურებისა და სახკრედიტის სამმართველოს უფროსი.

ᲞᲘᲔᲠ ᲙᲝᲒᲐᲮᲘᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

სცენაზე საპატიო პრეზიდიუმში არიან კ. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები, ქართული თეატრალური ხელოვნების ოსტატები. ავანსცენაზე პატარა მრგვალ მაგიდასთან დგას სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე და დარბაზში მყოფთ ორიოდე სიტყვით მოაგონებს შვერების მიზანს. აიწევა მაკი საბურველი და სცენის სიღრმეში გამოჩნდება პორტრეტი ადამიანისა, რომლის ამავე სცენაზე გამოჩენა ყოველთვის ახალი სიხარული იყო მისი ნიჭის თავყანისმცემელი მაყურებლებისათვის. ახლა კი ისინი წუთიერი დუმილით და ფეხზე ადგომით სცემენ პატივს მის ნათელ ხსოვნას...

ასე დაიწყო საქართველოს სსრ სახალხო არტისტის პირველ ბრძანებულ ხსოვნის საღამო მარჯანიშვილის თეატრში.

ნაწყვეტი „ურიელ აკოსტადან“. მართალია, ურიელი — პიერ კობახიძე სცენაზე არ არის, მაგრამ „ლაპარაკობს“ მისი ხმის ჩანაწერი. ივდითი კი — ვერიკო ანჯაფარიძე სცენაზეა და უხილავი ურიელის ხმასთან საუბრობს...

საღამო მშვენივრად იყო ჩაფიქრებული და საინტერესოდაც ჩაიარა. წაიკითხეს მოსსენება (გ. ციციშვილი), წაიკითხეს ოვით პიერ კობახიძის ლექსები, მიძღვნილი თავისი კოლეგებისადმი (ნ. მგალობლიშვილი, ტ. საყვარელიძე, ი. ტრიპოლსკი, მ. მახვილაძე, შ. ქოჩრარაძე, გ. სიხარულიძე, ო. მეფვინეთუხუცესი), ვ. გოძიაშვილმა შეასრულა პიერ კობახიძის მიერ ომის წლებში ქართული ესტრადისათვის შექმნილი სკეტჩი (ფორტეპიანოსთან — ე. გოძიაშვილი), ე. აფხაიძემ წაიკითხა თავისი იუმორისტული ლექსი — „ღია წერილი პიერ კობახიძეს“, მ. ნაკაშიძემ შეასრულა პიერის საყვარელი სიმღერა „მერცხალი“, ფილარმონიის ტრიომ (ც. რუსიშვილი, ლ. აფაქიძე, თ. ჯიჯიშვილი) კი — სიმღერა კინოფილმ „საბუდარელი ჭაბუკიდან“, რომლის პიესის ავტორი პიერ კობახიძე იყო. დამსწრეებს თავიანთი მოგონებები გაუზიარეს დ. ანთაძემ და ა. კვანტალიანმა.

საღამოს მეორე განყოფილებაში წარმოდგენილ იქნა ფინალური სცენა „ურიელ აკოსტადან“, რომელშიც კვლავ მოგვისმინეთ პიერ კობახიძის ფირზე ჩაწერილი ხმა — ურიელის ბოლო მონოლოგი.

ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ

საქართველოში ხუთ დღეს იყო სტუმრად ჩეხოსლოვაკიის ფიზიკურ-ტურის მოღვაწეთა დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის ფიზიკური კულტურისა და სასპორტო კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილის კარელ ზემანის მეთაურობით. სტუმრები გაეცნენ ფიზკულტურული მოძრაობის ორგანიზაციას რესპუბლიკაში, სასპორტო ორგანოების სტრუქტურას, იმას, თუ როგორ არის დაყენებული ფიზკულტურული მუშაობა სოფლად და ბავშვებს შორის.

ჩეხოსლოვაკიის ფიზკულტურისა და სასპორტო კავშირის დელეგაცია შეხვდა საქართველოს სსრ სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარეს გ. სიხარულიძეს. (საქდესი).

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). სულ უფრო ფართოვდება ქალაქის სავაჭრო ქსელი. ამ დღეებში ლენინის პროსპექტზე გაიხსნა „ქუთაისრწყვაჭრობის“ ახალი უნიფერსალური მაღაზია. ამავე პროსპექტზე საექსპლოატაციოდ გადაეცა „ქუთაისვეფაჭრობის“ სასურსათო და საკონდიტრო ნაწარმის მაღაზიები.

ᲩᲘᲣᲐᲠᲩᲔᲚᲨᲘ ჩამოვიდა და კულტურის სახლში კონცერტები გამართა საქართველოს სსრ სიმღერისა და ცეკვის დამსახურებულმა ანსამბლმა, რომელსაც ა. კავსაძე ხელმძღვანელობს.

ანსამბლის კოლექტივის გამოსვლას მოწონებით შეხვდნენ მეშახტე მაყურებლები.

პ. ᲑᲐᲠᲥᲐᲘᲐ.

ᲒᲐᲜᲒᲠᲘᲤᲘ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ

ᲒᲝᲣᲨᲘᲜ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაიმართა ასტრიდიან შაშში მსოფლიოს პირველობის მატჩის მეხუთე პარტია ვ. შჩეგლოვსა და ი. კუპერმანს შორის. თეორებით თამაშობდა პრეტენდენტი.

ორთაბრძოლა დაეაბულად წარიმართა. ერთ-ერთ მომენტში მსოფლიოს ჩემპიონმა არაზუსტად ითამაშა. ამან საშუალება მისცა ი. კუპერმანს ხელთ ეგდო ინიციატივა და გამარჯვებამდე მიეყვანა პარტია. 70-ე სვლაზე ვ. შჩეგლოვი დანებდა.

ამრიგად მატჩის ანგარიში გახდა 3:2 ი. კუპერმანის სასარგებლოდ. დღეს გაიმართება მატჩის მეექვსე პარტია. თეორებით მსოფლიოს ჩემპიონი თამაშობს.

◆

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

☐ **ᲞᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ** ქ. ემენში დამთავრდა ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს ტატიანა ზატულოვსკაიამ და მილუნკა ლაზარეკიმმ.

☐ **ᲙᲠᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘᲡ** საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე სამი ტურის შემდეგ 2,5-2,5 ქულით დაწინაურდნენ მ. ტალმანოვი და ა. სეტინი.

ᲬᲘᲜ ᲙᲕᲚᲐᲕ Ი. ᲙᲣᲞᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

ᲑᲣᲨᲘᲜ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაიმართა ასტრიდიან შაშში მსოფლიოს პირველობის მატჩის მეხუთე პარტია ვ. შჩეგლოვსა და ი. კუპერმანს შორის. თეორებით თამაშობდა პრეტენდენტი.

ორთაბრძოლა დაეაბულად წარიმართა. ერთ-ერთ მომენტში მსოფლიოს ჩემპიონმა არაზუსტად ითამაშა. ამან საშუალება მისცა ი. კუპერმანს ხელთ ეგდო ინიციატივა და გამარჯვებამდე მიეყვანა პარტია. 70-ე სვლაზე ვ. შჩეგლოვი დანებდა.

ამრიგად მატჩის ანგარიში გახდა 3:2 ი. კუპერმანის სასარგებლოდ. დღეს გაიმართება მატჩის მეექვსე პარტია. თეორებით მსოფლიოს ჩემპიონი თამაშობს.

ᲓᲦᲔᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲖᲔ

ᲮᲐᲜᲓᲝᲙᲚᲘ შესვენების შემდეგ, რაც სსრ კავშირსაბერძნეთის შესარჩევი მატჩით იყო გამოწვეული, კვლავ განახლდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატი ფეხბურთში. დღეს სხვადასხვა ქალაქში გაიმართება მორიგი ტურის შეხვედრები, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ.

ყურადღების ცენტრში, რასაკვირველია, ლიდერების — მოსკოვის „ტორპედოსა“ და კიევის „დინამოს“ მატჩებია. ორივე კოლექტივი მოსკოვში თამაშობს. ავტომაჩანნელთა მოწინააღმდეგე ბაკოს „ნეფტიანიკია“, უკრაინელთა მეტოქე კი დედაქალაქის დინამოელები. ინტერესს იწვევს აგრეთვე ბატონ ლენინგრადში ადგილობრივ „ზენიტსა“ და როსტოვის სკა-ს შორის.

სსრ კავშირის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ დღეს ოდესაში „ჩერნომორეცს“ შეხვდება. პოკელი წრის ოდესელ ბომბორა ამ ბენდოს შორის ჩვენი ფეხბურთელების გამარჯვებით — 3:2 დამთავრდა. ჩვენი რესპუბლიკის მეორე გუნდმა ... ქუთაისის „ტორპედოს“ წინააღმდეგ.

ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲔᲚᲘ... ᲒᲝᲒᲝᲜᲐ

ᲨᲐᲛᲘᲪᲐᲠᲘᲘᲡ გუნდმა „სონნბა“ ევროპის თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში თავის მოედანზე დამარცხა თურქეთის „გალატასარაი“ — 5:1, საპასუხო მატჩი სტამბოლში კი წააგო 1:2. ბურთების უკეთესი შეფარდებით (6:3) „სიონი“ მერვედფინალში გავიდა.

ეს ყველაფერი ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციამ არაჩვეულებრივი. მაინც აღმოაჩინა, თუმცა თვითონ კი არა, ამაში მას გაზეთები დაეხმარნენ. პრესიტამინებმოა, რომ „სიონის“ შემადგენლობაში თავდამსხმელად თამაშობდა... გოგონა მაღლენ დესბიონ. მატჩის რეპორტაჟში მაღლენ დესბიონ თამაში დადებითად იყო შეფასებული, იგი აქტიურად მონაწილეობდა კომბინაციებში, ბევრს მოძრაობდა და ორივე ფეხით ძლიერად ურტყამდა კარში. კი, მაგრამ რატომ მსაჯმა ვერ შეამჩნია ეს?

განასხვადში დესბიოს მხოლოდ ინიციალი ეწერა, მოედანზე კი ვაქეურად შეკრეტილი 14 წლის მაღლენი არაფრით არ განსხვავდებოდა პარტნიორებისაგან.

შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაცია საგონებელში ჩავარდა. დებულებაში არც ერთ პუნქტში არ წერია, რომ ქალებს ეკრძალებათ ფეხბურთის თამაში და მაინც ამ ფაქტით გამოწვეული ხმაური გადაწყვეტას მოითხოვს. რეგორც ადგილობრივი პრესა იტყობინება, ფეხბურთის მესვეურნი ამ დღეებში შეიკრიბებიან და მაღლენ დესბიოს უფლებას მისცემენ ეკლავ გამოვიდეს მინდორზე. მით უმეტეს, რომ „სიონი“ თასის გათამაშების შემდეგ ეტაპში გავიდა.

რედაქტორი
Д. ᲛᲔᲯᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ

ᲙᲣᲚᲐᲨᲘᲡ ᲖᲝᲢᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ-ᲡᲐᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲚᲔᲑᲘᲡ 1966 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ

დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი, დასაქმებულნი სოფლის მეურნეობაში, უპირატესად მეცხოველეობის დარგის მუშაკები, განურჩევლად ასაკისა, რომელთაც აქვთ განათლება არანაკლებ არასრული საშუალო სკოლისა.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი სწავლებას გადიან შემოკლებული ვადით, მიიღებიან საშუალო სპეციალური სასწავლებლის პროგრამის მიხედვით მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ მესამე კურსზე და შეისწავლიან მხოლოდ სპეციალურ დისციპლინებს.

კულაშის ზოოტექნიკურ-საველერინარო ტექნიკუმის **დაუსწრებელი სწავლების განყოფილება ამჟამად** სამუშაოდან მოუწყვეტლივ საშუალო კვალიფიკაციის ზოოტექნიკოსებს და ვეტერინარ-ფერშლებს.

სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის კი 3 წელი.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილების კურსდამთავრებულებს უფლება ენიჭებათ სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებლებში საერთო წესით.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: ა) ოფიცრები და სამხედრო სასწავლებლის მსმენელები, რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალებიდან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემცირების 1960 წლის კანონის შესაბამისად, ბ) სამამულო ომის მონაწილენი, რომლებიც დაჯილდოებული იყვნენ სკოლის დამთავრებისას სიგელით (ფრიადოსნები) ან ვერცხლისა და ოქროს მედლებით.

კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან: ა) სამამულო ომის მონაწილენი, თუ წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს, ბ) ისინი, რომლებიც სწავლისათვის გადაგზავნეს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, გ) ის პირები, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი აღებულ სპეციალობაში ან მასთან დაახლოებულ დარგში არანაკლებ ორი წლისა.

კონკურსში უპირატესობა ეძლევათ სხვა თანაბარ პირობებში: 1. იმ პირებს, რომლებსაც წარმოების სტაჟი მეტი აქვთ, 2. ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დემობილიზებულ რიგით, სერჟანტთა და ოფიცრთა შემადგენლობას, 3. ხუთოსნებს.

შენიშვნა: ვეტერინარულ სპეციალობაზე მიიღებიან მხოლოდ ისინი, ვინც მუშაობს ვეტსანიტარებად, ვეტერინარ ფერშლებად, ვეტბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიების და ხელოვნური დათესვლის სადგურის ლაბორანტებად.

ტექნიკუმში შესვლის მსურველები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: **1. არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით:** ა) მათემატიკაში (წერა და ზეპირი), ბ) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), **2. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით:** ა) მათემატიკაში (ზეპირი), ბ) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერითხზოლება), გ) ქიმიაში (ზეპირი).

განცხადებები მიიღება 30 ნოემბრამდე. **მისაღები გამოცდები** პირველი დეკემბრიდან. სასწავლო წელი იწყება პირველ იანვარს.

განცხადებები მიიღება დირექტორის სახელზე პირადად ან ფოსტაით შემდეგი სახეობებიდან მისაღებ გამოცდებს: 1. სამუშაო ადგილიდან დახასიათება-რეკომენდაციას, რასაც გასცემს კოლმეურნეობის გამგეობა, ან საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელობა, მასში ნაჩვენები უნდა იყოს აღნიშნული პიროვნების მიერ შრომადღეების დაწესებული მინიმუმის შესრულების მდგომარეობა, 2. განათლების მოწმობა (დედანი), 3. ამონაწერი შრომის ან საკოლმეურნეო წიგნაკიდან შემოწმებული ბეჭდის დასმით, 4. ავტობიოგრაფია, 5. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 6. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ), 7. ცნობა სამუშაო ადგილიდან თანამდებობის და სტაჟის ჩვენებით, 8. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 9. დიდი სამამულო ომის მონაწილეებმა და საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულებმა უნდა წარმოადგინონ აგრეთვე ამონაწერი სამხედრო წიგნაკიდან და დათხოვნის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე, შემსწავლელთ მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ეძლევათ 10 დღის შეუფერება ხელფასის შეუნარჩუნებლად.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტექნიკუმის დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაში, სოფლის მეურნეობის სამმართველოების ზოოვეტსპეციალისტებისაგან.

ტექნიკუმის მისამართი: ქ. სამტრედია, დაბა კულაში, ზოოვეტტექნიკუმის, დაუსწრ